

13
1961


ნახ. ქ. თოდუაძე

ქვეყნული
ბიბლიოთეკა



მოვედი, რომ ვთქვა ქვეყნად ღიადება
საბჭოთა ქვეყნის, საბჭოთა ხალხის.
მომაქვს ველების აზიზინება,
აგუგუნება უფადავ ქარხნის.


მე შემხვდა წილად დიდი სახელი,
დიად პროგრამის პირველი წელის,
ზღაპრულ საქმეთა გიჟი მნახველი,
რომ იწერება მშრომელთა ხელით.



№ 24 თბილისი დეკემბერი 1961

ნიანუი

გამოცემის XXXIX წელი, შანი 20 კაპ.



გადაწყდა: ახალ წელს ჩემი ამხანაგის ახალ ბინაში უნდა შევხვედროდით. აი, სწორედ ახლა ამოვიღე მისამართი და გვითხულობ: IV მასივი, VI კვარტალი, V კორპუსი, IV სადარბაზო, V სართული, ბინა 21. სცადეთ და დაიმასხოგრეთ. და მე რა მართივი, რა კარგი მისამართი ჰქონდა ძველ ბინაში—სატალახოს ქ. № 5. მოკლე, მრავლისმეტყველი, გასაგები.

3! დეკემბერს ჩავიწყვე ხელები ჯიბეებში და დავიწყე აღმა-დაღმა სიარული. მწყინდა 1981 წლის გამოთხოვება. რამდენი კარგი რამ მახსოვს მისგან... აბა რა არის ერთი წელი, არაფერი! წელიწადში სულ ცოტა ასი თვე მაინც უნდა იყოს! აუჰ! რამდენ ხანს ვიცოცხლებდით მაშინ! გადავწყვიტე, ღამის 12 საათამდე შინ არ დავბრუნებულყავი.

ვისადილე რესტორანში, რაღა დაგიმალოთ და არ მივანხშია, შევედი კინოში უკანასკნელ სეანსზე.

ტაქსი!

— აბა, პა! ნახევარი საათია ახალ წლამდე, შენს ბედად გამოვჩენილვარ. საით წავიდე?— როგორც იქნა, გავაგებინე.

შოფერს გამოვემშვიდობე. მან კარგი ახალი წლის გათენება მისურვა, თანაც მითხრა:

— იცოდე, როგორც შეხვდები ახალ წელს, სულ ისე ივლი მთელ წელიწადს. ეცადე, კარგი დრო გაატარო.

საათს დავხედე, ოცი წუთი რჩებოდა ძველ წელს თავის უფლებებში.

... სადღაც ჩემი ამხანაგის ბინის ტერიტორიაზე დავბორიალობდი. ხელში უბის წიგნაკი მეჭირა, მაგრამ ამოდ, არც ერთ კორპუსზე არავითარი მისამართი არ იყო აღნიშნული, ოფიციალურად გადავადი მარჩიელობაზე:

— ე. ი. პირველი, მეორე, მესამე, თუმცა საიდან დავითვალო? მარჯვნიდან თუ მარცხნიდან? არა და ძველი წელი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ითვლიდა. ისევ ჩემი ამხანაგის ძველი ბინა და ქუჩა მომაგონდა, ყველა სახლი დამიდგა თვალწინ, ზოგს ერთი ბოძი აქვს შეყენებული, ზოგს ორი, ზოგის აივანს იატაკი არა აქვს და ზოგისას კი იატაკი აქვს და აივანი არა, აქ კი ყველა სახლი ტყუპისცხელბივითაა...

როგორც იქნა, მივაგენი, სულმოუთქმელად ავგარდი მესამე სართულზე. დავხედე საათს, ხუთი აკლდა, გადავწყვიტე, თორმეტს რომ ორი წუთი დააკლდებოდა, მაშინ დამებრახუნებინა კარზე (ჯერჯერობით ელექტროზარი არა ჰქონდა). წარმოვიდგინე რა ამბით შემხვდებოდნენ ამხანაგები, ესეც ორი წუთი, ორივე მუშტი დავუშინე კარს. კარი ვიღაცა უცნობმა ქალიშვილმა გაშიღო, გავიფიქრე, ამხანაგები რაღაც ოიხს მიწყობენ—მეთქი. არ დავიბენი, ახალი წლის დადგომა მივულოცე და საკოცნელად წავიწყე. ქალიშვილმა კოცნა მოხერხებული ფინტით აიცილა და გაწყობილ მაგიდისაკენ შემიძღვა.

1952 წლის იანვრის ნომერში ნიანგმა დაბეჭდა ნახატი სათაურით „ცხვირის დაცემინება ზესტაფონის თეატრის წინ“. კარიკატურის ქვეშ ეწერა: იცოცხლე, სევასტი, ამ თეატრის აშენებამდე არაფერი გეტკინოს!

ვინაიდან ზესტაფონში ახლახან საზეიმოდ გაიხსნა თეატრის შესანიშნავი შენობა, ნიანგმა იფიქრა, სევასტის არაფერი გაუჭირდესო და ბეჭდავს ახალ კარიკატურას.



ნახ. ნ. მალაშოვსკისი

— სევასტი, ხომ არ გეწყინა მაშინ რომ გეხუმრე, ამ თეატრის აშენებამდე არაფერი გეტკინოს—მეთქი შე კაცო, თეატრი ქე აშენდა, აწი რაღა ჟეტკინება!

სტუმრებში ერთი ზორიეტლ... წაცნობრეც ქვერ აღმოვჩინე. ბრინჯზე მეტად დავიბენი და ავლულ-ლულდი:

— იცით რა, მეგობრებო, მე აქ შეცდომით... მისამართი შემეცვალა... უკაცრავად... მაპატიეთ... კარგად ბრძანდებოდეთ.

— მოსვლა თქვენი საქმე იყო, წასვლა კი ჩვენი, ახალი წელია, სტუმარი ღვთისაა, აბა, ეს ყანწი გამოაშრეთ!

— არ შემიძლია.

— ლაპარაკი!

ერთობლივანი ყანწი „გამოვარე“ და, დიდი თხოვნის შემდეგ, ჩამოგზარბაცდი კიბეებზე. გწუხდი, რომ არ ვივახშმე და, თუ ჩემს გარდა კიდევ ვინმე დადიოდა ამ ახალ წელს მშვიერი, არ მეგონა.

ახლა მეზობელ კორპუსის მესამე სადარბაზო შესასვლელი ამოვიღე მივანხი. ნამდვილად იქ უნდა ყოფილიყო ჩემი ამხანაგის ბინა, სწორედ რომ ასეთი კიბეები, სადარბაზოს შესასვლელის კარს ბოლომდე ვერაფრით ვერ დახურავ, გაჯიც სწორედ ასეა ჩამოყრილი. ოთხ-ოთხ კიბეს ვტოვებდი და ისე ავრბოდი. ბინა № 21, აღარ დავაყოფიე და ავტებე ბრახუნი. კარი გაიღო და ვიღაც მამაკაცი გამოვიდა.

— მობრძანდით, თქვენი ჭირიმი, — თავაზიანად მომართა უცნობმა. მუხლები მომეკვთა და კინაღამ ჩავიკეცე.

— შემობრძანდით, შემობრძანდით, ჩემო ბატონო, — არ მეშვებოდა სტუმართმოყვარე უცნობი.

— იცით რა, მეგობარო, მე აქ შეცდომით... კარგად ბრძანდებოდეთ.

— აჰ, არ მოგიკვდით ჩემი თავი, შემობრძანდით, დაგვლოცეთ და მიბრძანდით.

თავაპატიუი აღარ გამიღია, რადგან შიმშილით კბილები მიკაწყაწებდა.

— ჩვენი მეზობელია, ძვირფასო საზოგადოება, — გააცნო ჩემი თავი სტუმრებს.

არც აქ გადავჩი უყანწოდ, მაგრამ საქმელსაც ისე მოვუქნიე ყბა, რომ დანაყრებულ სუფრის წვერებს არ გამორჩათ ყურადღებიდან და რამდენიმე რეპლიკაც კი მოვისმინე ამ მისამართით. როდესაც მოვლონივრდი და ღვინოც გამოიჯდა თავში, ვთხოვე უფლება მოეცათ, წავსულიყავი. გზა დამილოცეს.

აველი კიდევ ერთ სადარბაზო შესასვლელში და ბენსიონერი ცოლ-ქმარი გავადვიძე.

შემდეგ სადარბაზოში ისევ დამაჯარიმეს და არ ვიცი რა ვთქვი ისეთი, გალახვაც კი დამიბირეს.

ქვევით რომ ჩამოვდი, გულისჯავრი ურნაზე ვიყარე და წიხლი ვკარი (აქ უკვე მილიციელმა დამაჯარიმა).

და, ბოლოს, გენიალურმა აზრმა გამინათა გონება. გადავწყვიტე, თუ კიდევ შემეშულებოდა და სხვის ოჯახს მივადგებოდი, ჩემი ამხანაგის მისამართი მეკითხა, იქნება ვინმე მაღლიანს ესწავლებინა თუ სად ცხოვრობდა. ასეც მოვიქეცი. როგორც იქნა, ავლასლასდი და, დავინახე თუ არა 21, დავაბრახუნე, კარი გაიღო და ვიღაც გადამხვია. არ ვიცი რატომ და მეც გადავეხვიე. როდესაც ხვევან-კოცნა დავამთავრე, მაშინლა მიგხვდი, რომ არ ვიცნობდი.

— ეს, ჩემო ძამია, ჩემი ახალი ბინაა და ხომ უნდა დამლოცო.

შეგხედე და, 21 კი არა, თურმე 12-ია. ჩემი ამხანაგი კი ორი სართულით შევიტაა თურმე. ოჯახი დავულოცე და, განა უბრალოდ, დავცალე სხვადასხვა ზომისა და ჯორმის სასისები. ბოლოს, ისევ იმ ჩემმა მასპინძელმა მიმიტანა ჩემი ამხანაგის ბინაში.

ახლა ზარხოშად ვარ, ბორჯომის ბოთლები მიღვეს საწოლთან და თავი წაქრული მაქვს. მაგონდება ტაქსის მძღოლის სიტყვები, და ვფიქრობ, ამ ახალ წელს ამდენი რომ ვირბინე სადარბაზო შესასვლელში, მეცნიერებათა კანდიდატ კაცს ნუთუ წელს ფოსტალიონად მომიწევს მუშაობა?

გ. პატარძიძე


„ჩვენ ჯერ კიდევ გვყავს აღამიანები, რომლებიც კომუნიზმს უყურებენ როგორც უქმად ყოფინისა და უსაქმურობის საზოგადოებას... კომუნიზმის შესახებ ასეთი წარმოდგენა დამახასიათებელია სულიერად ღარიბი აღამიანებისათვის, ობივატელებისა და მუქთახორებისათვის.“

(ამხანაგ ნ. ს. ხრუსჩოვის მოხსენებიდან სკკპ XXII ყრილობაზე).



შენარაპის წარმოებებით

მაუბზაკნელი ახანათი



კაცს, აბა, რა დასაძრახია, მეგობრები ბლომად ჰყავდეს და მეც მყავს. მყავს ბათუმშიაც და ქუთაისშიაც, თბილისშიაც და თელავშიაც, მოსკოვშიაც და კუიბი-შევეშიაც.

შავიზღვისპირელი ვარ და ჩემმა კუიბიშეველმა მეგობარმა ზეპირად იცის, რომ შავიზღვისპირეთი ციტრუსებითაა სახელგანთქმული.

მართალია საკუთარი ბაღი არ გამაჩნია, მაგრამ მაინც გადავწყვიტე ჩემი კუიბიშეველი მეგობრის საახალწლო სუფრა ჩვენებური მანდარინით დამემშვენებინა.

არც ციება დამჭირვებია და არც ცხვლება, საშუალო ზომის ყუთი გავაკეთებინე, მაღაზიაში დარჩეული მანდარინები შევიძინე, საითთაოდ შევფუთე, ყუთში ჩავაწყვე და უახლოეს საფოსტო განყოფილებაში მივიტანე.

ყუთი მიატრიალ-მოატრიალეს, ნახეს რა ეწყო შიგ, ჩემი თანდასწრებით დახურეს, წონაც დააწერეს, ადრესატის მისამართიც ჩაიწერეს, მისი ანკეტაც შემავსებინეს და ჩემიც და, ბოლოს, გასაგზავნი ფულიც მიიღეს, ქვითარი გამომიწერეს და დაიმედებული გამომისტუმრეს.

მეგობრობის ვალმოხდილი და გულდარხინებული დავბრუნდი შინ. ვფიქრობდი, ახალი წლის გულმზურვალე მილოცვასთან ერთად, მალე მადლობის წერილს მივიღებდი მეგობრისაგან.

ძველი წელი მიიწურა და მეც ბლომად მოვზიდე სახლში საახალწლო პურ-მარტილი. აკიდობიც კი გამომიგზავნა ჩემმა თელაველმა მეგობარმა და კახური ჩურჩხლებიც. მეც დასავლური მოსაკითხებით გაეუზარე გული.

ისე რომ, არც ჩემი მეგობრების სუფრას დააკლდებოდა ჩიტის რძე და არც ჩემსას.

ჩემი გასაჭირი მეგობრებს შევიჩვეე, მათაც არ დააყოვნეს და ამისხსნეს: ახლა დამზადების პერიოდი და შეიძლება ამიტომ შეუცვალეს შენს ამანათს მისამართი.

კი, მაგრამ, ფოსტაში ხომ გასინჯეს, რას ვგზავნიდი, შავით თეთრზე ხომ აღნიშნეს ვინ აგზავნიდა, ისიც ხომ იცოდნენ, რისი ვაგზავნა შეიძლებოდა და რისი არა?

ან რომელი სპეკულანტი, ან რომელი შტატგარეშე დამამზადებელი მე მნახეს, რომ მაღაზიაში მანდარინი ვიყიდო, შევფუთო, ყუთში ჩავაწყო და ფოსტის მუშაკთა წყალობით დამზადებას ჩავაბარო?

საკითხავია, დამზადების კანტორიდან მანდარინის საფასური რომ მივიღო, (ისიც არ ვიცი, რა ფასად ჩააბარეს) სპეკულანტად ხომ არ ჩამთვლიან, ან დამამზადებელთა შტატში ხომ არ ჩამრიცხავენ.

მაგრამ... თი, დახეთ საოცრებას... ფოსტალიონი მოადგა ჩემ სახლს და უწყება გადმომცა... კეთილინებუთ და, თუ არ შეწუხდებით, მოქალაქეც, მობრძანდით და მანდარინის საფასური მიიღეთო, — თავაზიანად მიხმობდნენ დამზადების პუნქტში.

— რისი მანდარინი, რა მანდარინი? — გავასავსავე ხელები, — რომელი მანდარინები მე ჩავაბარე, რომ საფასურს მიხდიან, აქ რაღაც გაუგებრობაა, ალბათ, მისამართი შეეშალათ-მეთქი, ვიფიქრე.

მაგრამ, იფიქრე, რამდენიც გინდა, „ააფრინე ალალით, რაც არ არი, არ არიო“, რაც არ შეშლიათ, რას დაიიმედებ გულს! ჩემი საახალწლო ამანათი გაუხსნიათ და, როგორც გადმომცეს, დამზადების პუნქტისთვის ჩაუბარებიათ.

და ახლა, გაცბუნებული და გაოგნებული ვეკითხები ფოსტის მუშაკებს: როდის გადააქციეს ფოსტა დამზადების პუნქტის ფილიალად და როდის იქცნენ მანათეები დამამზადებლებად? ან რა საჭირო იყო ერთხელ უკვე დამზადებაში ჩაბარებული და სარეალიზაციოდ გაშვებული მანდარინის ისევ დამზადების პუნქტში ჩაბარება?!

ჩემი გასაჭირი მეგობრებს შევიჩვეე, მათაც არ დააყოვნეს და ამისხსნეს: ახლა დამზადების პერიოდი და შეიძლება ამიტომ შეუცვალეს შენს ამანათს მისამართი.

კი, მაგრამ, ფოსტაში ხომ გასინჯეს, რას ვგზავნიდი, შავით თეთრზე ხომ აღნიშნეს ვინ აგზავნიდა, ისიც ხომ იცოდნენ, რისი ვაგზავნა შეიძლებოდა და რისი არა?

ან რომელი სპეკულანტი, ან რომელი შტატგარეშე დამამზადებელი მე მნახეს, რომ მაღაზიაში მანდარინი ვიყიდო, შევფუთო, ყუთში ჩავაწყო და ფოსტის მუშაკთა წყალობით დამზადებას ჩავაბარო?

საკითხავია, დამზადების კანტორიდან მანდარინის საფასური რომ მივიღო, (ისიც არ ვიცი, რა ფასად ჩააბარეს) სპეკულანტად ხომ არ ჩამთვლიან, ან დამამზადებელთა შტატში ხომ არ ჩამრიცხავენ.

ი. გარსამია

ნიკო მუსხლიშვილი

იგი რამდენ უნელ იცოცხლე
ავადყოფობის გარეშე!
ჩვენ შავის თავი არა გვაქვს,
შენ თვითონ იანვარში.

ირაკლი აბაშიძის

გადაცურეთ დარდანული,
მოიარეთ მთა და ველი,
რუსთაველის კვალს ეძებდით
შენ, შანიძე, წერეთელი,
როგორც ნესტანს ავთანდილი,
ფრიდონი და ტარიელი,
დაკარგული მზე იპოვეთ,
არ დაბრუნდით ცარიელი.
მგოსანმა და მკვლევარმა რომ
მოიარე გუა ამსიგრძე,
კოლუმში ხარ, მავლანი
თუ ირაკლ აბაშიძე?

ირაკლი ჩიქავიშვილი

ავდარია თუ დარია,
მაგრად შემოჰკარ «ზარია»,
ქურნალისტები შემოკრუნენ
ტკბილდამწარმოებარია,
შენიმე გაზეთი აავსე
შენთვის ჩვეული ღირებებით,
არ დაივიწყო არსადროს
შენი მწა ქურნალისტები.

ანდრია ბალანიაშვილი

შალე «ცნობრების ფურცლებით»
ტაშით და ვარდით აივსე,
ბალუტი კარგი დაწურე,
ახლა ობერაც გავიჩინე.

სახელები
1962



შინა ჯაფარიძის

მოაქეწონა, რაც დანატე
მადლიანი ფურჯით,
ფურჯის ენაც დღედაც იცის
ისე, როგორც მუნჯის.
საქართველოს შეატყობს ადრეს
კაი ქორიქ უჩანს!
იმიტომ, რამე გემოდანულოს
ახანჯვარ უთო.

ენოა გაფრინაშვილი

ენინაქა-ბანიას რომ უყავი,
სულ დავკარგეთ, გვინი, გონი,
შენი მერნით გადაცურე
საბადრაკო ზღვა და ფონი.
შენთან ერთად აქ დღეაღდა
ზუღდიდი და ზუსტაფონი,
ახლა ცელი არ გასოგებრა,
კი გეყოფა ღონი, გონი,
მოიშის გუხდით ბიკოვის და
უნდა გახდე ჩემპიონი.

კობე სანდუხაძის

ხარ ცველა მინდვის დედოფლის
მოტრფიალუ და მყავარი,
სიმინდის ყანა ახარე,
და ოქროს ხევი დაყარე, —
ამდენ «დედოფლისა» მოყვანა
ადრე თუ იყო სამარხი
ახლა შენა ხარ გვირი და
სამაგალითო ყანახი.

ამირან ფანდუღიანი

ღმერთებს რომ ცეცხლი მოჰპარა
და ქვეყნად დაღვა ლამპარი,
ის ამირანი რა იყო,
მითი იყო და ზღაპარი.
დღეს ცეცხლიც შენ გაქვს, ფოლადიც,
ბადალი არ გვაქვს არავინ,
ღმერთო, მოშკალი, რაღა გვიჩის
ღმერთების მისაპარავი.

ბატინა ჩიქავიშვილი

ქაღალს ვეგაკვს რომ გეპახიან,
დამორცხვებით ილიმებო,
სხვა თუ არის, შენ უფრო ხარ
ღირსი დადნის გვირგვინების,
იმიტომ, რომ, სადაც ჩაი,
არ გოუშე არსად ჩაი.

მიხილ მძვავიანი

არც ქორწილი, არც ნიშნობა,
არც ძეობა, არც დღეობა,
ღვინის სმის და დროსტორების
რომელიც გსურს სახეობა
რაღად გარა, ვერ დავლოცავთ
ველარც მზეს და ველარც მთვარეს,
კაპიკია შათი ფასი,
თუ შენ ვაზი არ ახარე.



კუთხისის „ბორკელოს“

ჩვენი დალოცვა რად გინდა,
დაგწევლით თანასწორები:
შენი ცხრილი და დღიური
სულ სავსე იყოს ორებით.

პირველ კლასში რომ გადმოგხვეს,
ქვეყანა ხედავს ამასა,
შენ არ გეღირსოს არასდროს
მეორე კლასში გადასვლა.

თოვლის ბებია

(საახალწლო ეტიუდი)

ახალი წელი...
თოვლის ბებია... რატომ გიკვირთ? ხმები დადის, თოვლის ბაბუა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე მიიწვიესო. სადაც დეტალურად ამუშავებენ საკითხს „როგორ მოვიყვანოთ თოვლი ახალ წელს“. ესეც რომ არ იყოს, რატომ მოგვილოცოს ახალი წელი ყოველთვის ბაბუამ და არა ბებიამ. ჩემის აზრით, ბებიას არა ნაკლები პრეტენზია აქვს მილოცვისათვის. არ გეგონოთ, თითქოს ვცდილობდე შეგიქმნათ საახალწლო განწყობილება, არა, მე უბრალოდ მინდა გავათანაბრო ბებიისა და ბაბუის უფლებები. რა დააშავა ბებიამ?

მაშ ასე...
ისწრაფვის, ისწრაფვის თოვლის ბებია...
თბილისში გამოჩენისთანავე უკავშირდება ტრანსპორტის მესვეურებს და ულოცავს მათ ახალ წელს:

— საბურთალოზე გამოვლა ძალზე გამიჭირდა, რაშია საქმე?

— მოითმინეთ, ქალბატონო, ერთი კვირაც მოითმინეთ, მოძრაობა ძალზე გადატვირთულია...

— შემდეგ?
— შემდეგ შეეჩვევით. — იყო პასუხი.
ბებია ეწვია დაზიანებათა ბიუროს.
— ეს დაზიანებათა ბიუროა?
— ეტო ბიურო პავრეტდენია.

თოვლის ბებიას გულწრფელად გაუკვირდა, ასე უცებ როგორ თარგმნესო და მათაც მიულოცა ახალი წელი.

შემდეგ თოვლის ბებიამ სპორტის სასახლეში შეიარა და რამდენიმე საბალეტო ნომერი შეასრულა ყინულზე. აქედან კი პირდაპირ კინოსტუდიისაკენ აიღო გეზი.

„ამაზე უკეთეს ბებიას სადღა ვიშოვიოთ“, — გაიფიქრეს კინომუშაკებმა, სტაცეს ხელი ბებიას და იქიდან აღარ გამოუშვიათ.

ჩვენ რაღა დავგრჩენოდა და საჩქაროდ გამოვიწვიეთ თოვლის ბაბუა კურსებიდან.

წიგნი ლელოზვილი

გინიბურევი

იცის თუ არ იცის?

- დღეს რა ნიშანი დაგიწერეს, შვილო? — ჰკითხა მამამ სკოლიდან დაბრუნებულ დათოს.
- სამ საგანში ხუთი მივიღე.
- რაღაც არ მჭერა, — დაეჭვდა მამა.
- ვიანგარიშოთ: არითმეტიკაში — ერთი, მშობლიურ ენაში — ორი, გეოგრაფიაში — ორი. სულ ხომ ხუთია?
- ყოჩაღ, შვილო მიმატება მაინც გცოდნია. მასწავლებელმა კი მითხრა, არითმეტიკა არ იცისო.

თეორია და პრაქტიკა

სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორმა უთხრა თავის მოადგილეს:
— ისე დავაყენოთ საქმე, რომ ჩვენს ინსტიტუტში ყველა თანამშრომელმა სამეცნიერო ხარისხი დაიცვას.
— ძალიან კარგი, — მიუგო მოადგილემ, — მხოლოდ პრაქტიკული საქმეები მერე ვის გავაკეთებინოთ?

ტაკილი ღვინო

მდარე ღვინის პატრონი, ვაჭრობის აზარტში შესული, გაიძახოდა:
— აბა ღვინო!.. ღვინო, მარა რა ღვინო!.. ღვინო კი არა, მთლად შაქარია!

ბ. ბასილაია

ინგლისური იუმორი

მოწაფეს მასწავლებელმა ჰკითხა, რამდენი ომი გადაიტანა ესპანეთმა მე-15 საუკუნეში.
 — ექვსი, — უპასუხა ბიჭუნამ
 — აბა, ჩამოთვალე.
 — I, II, III, IV, V, VI, — იყო პასუხი.



გერმანული იუმორი

— მოვედი, 12 მარკა, — უთხრა ტაქსის მძღოლმა მგზავრს.
 — ძალიან გწუხვარ, მაგრამ ცოტა უკან უნდა წავიდეთ, მე მხოლოდ ათი მარკა მაქვს.

— ვთქვით, მაგიდაზე ოთხი ბუზი ზის. მე ერთი მოვკალი, რამდენი დარჩება?
 — ერთი მკვდარი ბუზი, მასწავლებელს.

ურანული იუმორი

— მითხარი, მიშელ, რას ვხედავთ კარგ ამინდში, როცა თავს მაღლა ვწეხ?
 — ცას, ღრუბლებს, მზეს...
 — ცუდ ამინდში?
 — ქოლგას...

— დედას ჰკითხე, მაგ ვაშლს რომ ჭამ?
 — ვკითხე.
 — იცოდე, მეც ვკითხე და, მან თუ მითხრა, „არაო“, მიგტყუა. კითხე?
 — სიმართლე გითხრა, ვკითხე, მაგრამ ნება არ დამართო.


— დამის ორი საათი იქნებოდა, როცა ნადირთომოთინიერებელი საბან-მოსურული მოვიდა ცირკში და ლომების გალიაში დაწვა.
 — რას აკეთებთ? — ჰკითხა გოცემულმა ყარაულმა.
 — ძილი არ მომეკარა სასტუმროში, ვირთხებითაა გაგვებული.

— პეტერ, აი ბონბონი და კარლს ძმურად გაუყავი.
 — როგორ ყოფენ ძმურად?
 — პატარა ნაწილს თვითონ იტოვებენ და დიდს სხვას აძლევენ.
 — იცი რა, მე მივცემ ბონბონს კარლს და იმან გამიყოს ძმურად.

თარგმანა ც. ცხენოსანიძემ

თარგმანა **ზ. გემბაზაშვილმა**

თარგმანა **რ. მებრელიშვილმა**



სამედიცინო ჟურნალის რედაქტორმა მოსოვა ისეთი მოთხრობა დამეწერა, რომელიც თამბაქოს მწვეველებს სამუდამოდ შეაძულებდა თამბაქოს. ჰოდა, კიდევაც დავწერე მოთხრობა, რომელშიაც ყოველგვარ საშინელებას მოვუყარე თავი.
 ჩემი გმირი იტალიაში ცხოვრობდა. მას ჩიბუსის მოწვევაზე წაასწრეს და ვკლესიიდან განკვეთა მოუნდომეს, მაგრამ მოახერხა ინგლისში გაქცევა. აქ კინალამ წააცალეს თავი. უკანასკნელ წუთებში ჯალათმა შეცდომით თავი სხვას მოკვება. ჩემი გმირი გემის ტრიუმფში ჩაძვრა და რუსეთში გაიპარა. იქ ცოტა ხანს არაფერს დევნიდა, მაგრამ, ბოლოს, თამბაქოს ერთმა გამყიდველმა, რომელსაც ნესტოები მოსჭრეს, გასცა ჩემი გმირი და იგი იძულებული შეიქნა გაქცეულიყო. თურქეთში ჩაუვარდა ხელთ შეუბრალებელ კანონს და ძელზე გასვეს.
 ყოველივე ეს ისეთი შემზარავი გამოვიდა, რომ, როცა წავიკითხე, ტანში

გამცრა. მაგრამ, რაკი ავტორის აზრი ყოველთვის სუბიექტურია, ამიტომ მოთხრობა ჩემს მეზობელს მივეცი შემსაშინებლად. ვიცოდი, რომ იგი 11 წლის ასაკიდან ეწეოდა თამბაქოს.
 — შეგეშინდა? — ვკითხე, როცა ხელნაწერი დამიბრუნა. (მე მაინც ვეშვობდი, რომ მთლად შემზარავად ვერ აღვწერე ჩემი გმირის წამება).
 — ძალიან შეგეშინდა. — მიპასუხა მეზობელმა, — ძალიან ავდელდი, წარმოგიდგენიათ, რამდენი ტანჯვა გადაუტანიათ თამბაქოს მწვეველებს, ვიდრე თავისუფლებას მიიღებდნენ?! შენი მოთხრობის წაკითხვის მერე განსაკუთრებული სიამოვნებით ვეწევი. რა კარგი გრძობაა, როცა იცი, რომ ამისათვის არც თავს მოგჭრიან და არც ძელზე გაგსვამენ...
 რაღა დამჩრჩინოდა? ავდუქი და რედაქტორს მივწერე: ამ თემაზე შემზარავი წერილის დაწერა შეუძლებელია-მეთქი.
თარგმანა ლ. ზამბახიძემ

— როცა მე უბნობ: მე ვიბან, შენ იბან, ის იბანს. რა დროა ეს?
 — რათ ქმა უნდა, კვირა, მასწავლებელს.
 — რა კისრისტეხით გარბის ეს ხალხი?
 — პირველი ჯილდოს მიიღებს.
 — კი, მაგრამ დანარჩენებს რაღა მიარბენინებთ?

— ზოგი თევზაობს სპორტული ინტერესით, მე ნერვების დასაწყნარებლად, თქვენ რისთვის თევზაობთ?
 — მე თევზი მინდა, ბატონო ჩემო.


— გიხარია, ევა, თქვენთან რომ სტუმრად მოვდივარ?
 — ძალიან, ძია, დედა ყოველთვის ორ შილინგს მაძლევს, რომ არ გკითხოთ, რატომ გაქვთ ასეთი დიდი და წითელი ცხვირი.

— ჩვენ, როცა ქათმები იძინებენ, მაშინ ვიძინებთ. თქვენც?
 — არა, ჩვენ ქათმები არა გვყავს.
თარგმანა დ. კოპანიამ

სიდდერის დასაფლავებიდან დაბრუნებულ ფრიცს აგური დაეცა და დაფეთებულმა იყვირა: მისი სული ახლა ზეციდან მიტყვსო.

— მე სპილოებზე დიდი წარმოდგენისა არა ვარ. — უთხრა ერთმა ბუზმა მეორეს.
 — რატომ?
 — თუნდაც იმიტომ, რომ ჭერზე სიარული არ შეუძლიათ.
თარგმანა შ. ამირანაშვილმა





ნახ. გ. ლომიძისა

საახალწლო მაგიდასთან

— იმდენი სტუმარი დაგვაკლდა, ახალ წელს ცარიელ მაგიდასთან ვხვდებით.